გერმანულ-ქართული თანამშრომლობა აფხაზეთში 1918 წლის ისტორიოგრაფია

GERMAN-GEORGIAN COOPERATION IN ABKHAZIA IN 1918 HISTORIOGRAPHY

გიორგი ასტამაძე
დოქტორანტი, კარლსრუეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი

Giorgi Astamadze
PhD candidate, Karlsruhe Institute of Technology

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს გერმანიის იმპერიის როლს აფხაზეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში 1918 წელს. გერმანიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯერ 28 მაისის საქართველოს რესპუბლიკასთან ხელშეკრულების გაფორმებით, მოგვიანებით კი ოსმალებთან მოლაპარაკებებზე პროქართული პოზიციის დაჭერით, აფხაზეთის რეგიონის საქართველოსადმი მიკუთვნების საკითხში. გარდა ამისა, გერმანიის მისიის საქართველოში ყოფნის დროს გერმანული სამხედრო ქვედანაყოფები მუდმივად იმყოფებოდნენ სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა აფხაზურ ქალაქებში და ზურგს უმაგრებდნენ ქართულ სამხედრო ძალებს, რომლებიც აწარმოებდნენ შეტევას დასავლეთით, სოჭის და ტუაფსეს მიმართულებებზე. გერმანიის იმპერიის პოზიცია საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ინტეგრაციას მისი დამოუკიდებლობის მანძილზე

Summary

The paper discusses the role of the German Empire in the historical events in Abkhazia in 1918. Germany played a decisive role in belonging Abkhazia to Georgian sovereignty firstly by the German-Georgian Treaty of the 28th of May, 1918 and secondly by supporting the Georgian cause during the negotiations with Ottomans. Besides during the presence of the German expedition in Georgia German units were always active in Sokhumi, Ochamchire and other Abkhazian towns to bolster up Georgian military providing an assault westwards in direction to Sochi and Tuapse. The standpoint of the German Empire greatly influenced the integration of Abkhazia within the Republic of Georgia during its years of independence.

გერმანულ-ქართული თანამშრომლობის საკითხი აფხაზეთში 1918 წელს დღემდე ყურადღების მიღმაა დარჩენილი როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. არ არსებობს ფაქტობრივად არცერთი წიგნი, ან სამეცნიერო სტატია, რომელიც კონკრეტულად ამ სა-

კითხით არის დაკავებული. ერთადერთი მკვლევარი, ვინც მოკლე მოხსენება გააკეთა ამ საკითხზე 2000 წელს, იყო ლაშა ბაქრაძე. ეს მოხსენება დაიბეჭდა კიდეც (Бакрадзе 2000). სხვა მხრივ, არსებობს აფხაზეთში ქართული ჯარის მეთაურის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მემუარები (მაზნიაშვილი 1927), რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოიცა და ავტორი გერმანელებს ფაქტობრივად არ ახსენებს საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ასევე, გვაქვს საქართველოს სახალხო გვარდიის მეთაურის, ვალიკო ჯუღელის, დღიურები (Джугели 1920), რომელიც საინტერესო წყაროს წარმოადგენს. არსებობს რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც პირდაპირ არ ეხებიან გერმანულ-ქართულ თანამშრომლობის საკითხს აფხაზეთში, თუმცა ამ წიგნებიდან შეიძლება დამატებითი ინფორმაციის ამოკრება (ჩაჩხიანი 2014; Andersen 2014).

ამ სტატიის წერისას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გერმანულ, ავსტრიულ და ქართულ არქივებში გაბნეული მასალები. ამას გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოში ნამყოფი გერმანული სამხედრო ერთეულების ისტორიები,[1] რომლებიც გამოცემულია, თუმცა ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი რჩება. ზოგი მათგანი ხარისხობრივად ძალიან მაღალ დონეზეა დაწერილი და საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ მათი საქართველოში ყოფნის პერიოდის ქართულად თარგმნა სასურველია.

***

როგორი იყო მდგომარეობა აფხაზეთში 100 წლის წინ და რა როლს თამაშობდა გერმანიის იმპერია იქ მიმდინარე პროცესებში? პირველ ყოვლისა, მიმოვიხილოთ, თუ როგორი ეთნოგრაფიული სურათი იყო აფხაზეთში ამ დროისთვის. 1917 წლის მონაცემებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობა სოხუმის ოლქში იყო 145 594. აქედან, აფხაზების რაოდენობა იყო 39 915, ქართველებისა – 58 853 (ფერაძე 1921, 15). შესაბამისად, ქართველები რეგიონის მოსახლეობის 41% შეადგენდნენ, აფხაზები კი – 30%. ქართველები ცხოვრობდნენ, მეტწილად, სამურზაყანოსა და დედაქალაქ სოხუმში, აფხაზები კი ცენტრსა და დასავლეთში. დედაქალაქ სოხუმში, იმავე წელს, მოსახლეობის რაოდენობა იყო, თითქმის 10 000 ადამიანი, სადაც რუსები 2824 მცხოვრებით პირველ ადგილზე იყვნენ, შემდეგ მოდიოდნენ ქართველები – 2579 და სომხები – 865 ადამიანი. რაც შეეხება აფხაზებს, მათი რაოდენობა სოხუმში იყო სულ 174 სული (იქვე).

1918 წლისთვის აფხაზეთში ქაოსური მდგომარეობა იყო, რაც რუსეთში 1917 წელს მომხდარი რევოლუციების შედეგი იყო. რეგიონზე დიდი გავლენა ჰქონდათ ბოლშევიკებს, რომლებიც 1918 წლის თებერვალში შეიჭრნენ აფხაზეთში და საკუთარი ძალაუფლება დაამყარეს (ჩაჩხიანი 2014, 82-91). 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭომ დროებითი ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან თბილისში, ბოლშევი-

1 Hans Muggenthaler; Hugo Ritter v. Pflügel; Martin Scheuring (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr.1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen Kriegstagebüchern. München 1935 = Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv.Bayerische Armee. Band 85. Philipp Aschauer: Auf Schicksalswegen gen Osten: Kriegserlebnisse eines deutschen Jägerregiments in Rumänien, auf der Krim und im Kaukasus. Münster 1931. Erich Karitzky. (Hrsg.): Reserve-Jäger Bataillon Nr.9. Aufgestellt vom Lauenburgischen Jäger-Bataillon Nr.9. Bearbeitet nach den amtlichen Kriegstagebüchern, Oldenburg i.O. Berlin 1925. Das K.B. 5. Chevaulegers -Regiment „Erzherzog Friedrich von Österreich" im Kriege 1914/1918 (München, 1922).

კების წინააღმდეგ თანამშრომლობის მიზნით.[2] ის შემდეგი სამი პუნქტისგან შედგებოდა: „1.შეიქმნას ერთი მთლიანი აფხაზეთი მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე, სადაც შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო, ანუ დღევანდელი სოხუმის მთელი ოლქი. 2. მთლიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური წესწყობილების შემუშავება დამყარებულია ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპზე, დამოკიდებულია აფხაზეთის დამფუძნებელ კრებისგან, რასაც საქართველო თავის მხრივ დაადასტურებს. 3. უკეთუ აფხაზეთი სხვა ერებთან ან სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის შეკვრას მოისურვებს, მოვალეა წინასწარ საქართველოს აცნობოს და მოლაპარაკება იქონიოს ამ საგანზე, ან პირიქით, თუ საქართველო განიზრახავს ამასვე, მაშინ იგი ვალდებულია წინასწარ აცნობოს აფხაზეთს ან მოელაპარაკოს."[3] ბოლშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში ქართული არმია გაიგზავნა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და 17 მაისს დაიკავა სოხუმი. ნოე რამიშვილი აკაკი ჩხენკელს გერმანიაში ატყობინებდა, რომ ტყვედ ჩაიგდეს 400 ბოლშევიკი, 2 სატრანსპორტო საშუალება, 9 ზარბაზანი, 17 ტყვიამფრქვევი და სხვა საბრძოლო მასალა. ბოლშევიკთა მეთაურები დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოს წინაშე წარადგინეს. ბოლშევიკების დამარცხება, რამიშვილის თქმით, იყო საბოლოო.[4] საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 28 მაისს გაფორმებული ქართულ-გერმანული ხელშეკრულებით, გერმანიამ აფხაზეთი საქართველოს ნაწილად აღიარა, სანამ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ კავკასიური ფედერაცია შეიქმნებოდა, აფხაზეთის მოსახლეობას თვითონ უნდა გადაეწყვიტა საქართველოსთან ერთად თუ დამოუკიდებლად შევიდოდა აღნიშნულ ფედერაციაში.[5]

გერმანიის იმპერიის დახმარება მისი მოკავშირე საქართველოსადმი აფხაზეთში იყო ლოგიკური ქმედება. აფხაზეთი იყო მეტისმეტად პატარა და სიცოცხლისუუნარო იმისთვის, რომ ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა. ის უნდა ყოფილიყო რუსეთის, თურქეთის ან საქართველოს გავლენის ქვეშ. ბოლო ვარიანტი, ბუნებრივია, გერმანიისთვის ყველაზე მისაღები იყო. გერმანელი ექსპერტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ოსმალეთი საქართველოს გარშემორტყმას არა მხოლოდ ბათუმის, არამედ სოხუმის მხრიდანაც ახორციელებდა. აფხაზეთში ქართული ძალების დასახმარებლად, მაისში, ჯერ კიდევ რეგულარული ნაწილების საქართველოში ჩამოსვლამდე, გერმანელებმა გაგზავნეს სამხედრო ტყვეებისგან ჩამოყალიბებული დანაყოფი ლეიტენანტ ბარონ პალენის[6] მეთაურობით,

2 რუსეთის იმპერიაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნილი ეროვნული საბჭოები, პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე, ფაქტობრივად, სახელისუფლებო ლეგიტიმურ ორგანოებს წარმოადგენდნენ. ყველა მსხვილ ეთნიკურ ჯგუფს საკუთარი ეროვნული საბჭო ჰყავდა: ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, ოსებს, რუსებს, გერმანელებს, პოლონელებს და ა.შ.

3 სცსა, 1836/1/9. გვ. 13-18.

4 PA AA, R11049. Band 17a. Ramischwili an Tschchenkeli. 19.5.1918.

5 სცსა, 1831/2/49. გვ. 9-10.

6 გერმანული სამხედრო მისიის მეთაურმა, ეგან კრიგერმა, ბარონი პალენი 1918 წლის ივნისში თვითმფრინავით გაგზავნა ბაქოში კიდევ ერთ ბალტიელ გერმანელთან – ბარონ დრახენფელსთან ერთად, კომისარ სტეფან შაუმიანთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. საკითხი ეხებოდა გერმანელი და ავსტრიელი ტყვეების ტრანსპორტირებას, ისევე როგორც, ბაქოელი ბოლშევიკების დაცვას გერმანელების მიერ თურქების წინააღმდეგ, რის სანაცვლოდაც ბაქოს გერმანელებისთვის ადგილობრივი ნავთობი უნდა მიეწოდებინა. გერმანელები მზად იყვნენ, ასევე, ქართულ პირუტყვში გაეცვალათ ბაქოს ნავთობი, რათა ბაქო შიმშილისგან ეხსნათ. ბაქო თანახმა აღმოჩნდა გერმანელების წინადადებაზე, მაგრამ მისი

როგორც სოხუმის სანაპირო დაცვა.[7] ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა გენერალ ლუდენდორფისთვის გაგზავნილ წერილში პროტესტს გამოხატავდა, რომ სოხუმის გერმანულმა დანაყოფმა განაიარაღა მუსლიმები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მოკავშირეების სასარგებლოდ იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ და სთხოვდა ლუდენდორფს მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებას.[8] თუმცა, გერმანული და თურქული ინტერესები კავკასიაში ამ დროისთვის უკვე იმდენად დაპირისპირებული იყო ერთმანეთთან, რომ მომდევნო თვეებში მსგავსი შემთხვევები კიდევ არაერთხელ განმეორდა საქართველოს ტერიტორიაზე.

აქტიურ ანტიქართულ პროპაგანდას აფხაზეთის საკითხში ეწეოდა მთიელთა რესპუბლიკა და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიდარ ბამატი, რომელიც თურქული ინტერესების გამტარებელი იყო. 13 ივნისს საქართველოში გერმანული მისიის დიპლომატიური ხელმძღვანელის – გრაფ შულენბურგისადმი მიწერილ წერილში ბამატი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ქართული და გერმანული ჯარების სოხუმში შესვლის გამო და ამბობდა, რომ გერმანული მისია საქართველოს ხელისუფლების მიერ შეცდომაში იყო შეყვანილი (Гожба 2009, 123-124).

ბოლშევიკების ხელახალი მოძალების დროს აფხაზეთში, აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ხელისუფლებასთან. ეს ხელშეკრულება 9 თებერვლის ხელშეკრულების გაგრძელებას წარმოადგენდა. 11 ივნისს თბილისში დადებული ხელშეკრულების 8 პუნქტი ასე გამოიყურებოდა: „1. დასადები ხელშეკრულება გადაისინჯება აფხაზეთის ეროვნული ყრილობის მიერ, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს აფხაზეთის პოლიტიკურ მოწყობასა და ბედს. ასევე ურთიერთობას საქართველოსა და აფხაზეთს შორის. 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან იმყოფება აფხაზთა სახალხო საბჭოს რწმუნებით აღჭურვილი წარმომადგენელი, რომელთანაც აფხაზეთის საქმეებზე საქართველოს მთავრობას ექნება ურთიერთობა. 3. შინაგანი მმართველობა აფხაზეთში ეკუთვნის აფხაზთა სახალხო საბჭოს. 4. საგარეო პოლიტიკის საკითხებში საქართველო, რომელიც შეთანხმების მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელია, ფაქტობრივად გამოდის აფხაზეთთან ერთად. 5. აფხაზეთის მმართველობისათვის აუცილებელი კრედიტები და სახსრები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახსრებიდან გაიცემა აფხაზთა სახალხო საბჭოს განკარგულებაში. 6. რევოლუციური წესრიგის უსწრაფესად დამყარებისა და მტკიცე ხელისუფლების ორგანიზაციისათვის აფხაზთა სახალხო საბჭოს დასახმარებლად და მის განკარგულებაში, სანამ ეს საჭიროა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გზავნის წითელი გვარდიის რაზმს. 7. აფხაზთა სახალხო საბჭო აყალიბებს საჯარისო ნაწილებს. ამ ნაწილებისთვის საჭირო აღჭურვილობას, ფორმას, ტანსაცმელს და სახსრებს გასცემს საბჭოს განკარგულებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 8. სოციალური რეფორმების ცხოვრებაში გა-

---

განხორციელებისთვის მოსკოვის დასტური მოითხოვა. ამ თანხმობის სწრაფად მოსაპოვებლად ბარონი პალენი ბაქოდან თვითმფრინავის გარეშე გაემგზავრა კასპიის ზღვის და ასტრახანის გზით მოსკოვისკენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ამ მისიის განხორციელებისას თურქებმა მოკლეს. მისიის მეორე წევრი, ბარონი დრახენფელსი, ბაქოში გარკვეული ხნით იყო დაკავებული, თუმცა ბოლოს გაათავისუფლეს. იხ. Winfried Baumgart: Das „Kaspi-Unternehmen". Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, 1970, Bd. 18. S. 88-89.

7 PA AA, R22340. Band 1-2. Wesendonk an AA. 31.5.1918.

8 PA AA, R22340. Band 1-2. Bergheim an AA 7.6.1918.

ტარებას ახორციელებს აფხაზთა სახალხო საბჭო ამიერკავკასიის სეიმის მიერ გაცემული ზოგადი კანონების საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი პირობების მიხედვით"(დიასამიძე 2004, 19-20). გენერალი გიორგი მაზნიაშვილი 500 ქვეითთან ერთად გაიგზავნა აფხაზეთში, სადაც მან 300 კაციან აფხაზურ კავალერიასთან ერთად ბოლშევიკების შემოტევა შეაჩერა და თვის ბოლომდე აფხაზეთის ტერიტორიიდან მთლიანად გააძევა. ბოლშევიკები ამის შემდეგ სოჭში დაბანაკდნენ (Andersen 2014, 28; მაზნიაშვილი 1927, 63).

მდგომარეობა აფხაზეთში იმითაც ძალიან რთულდებოდა, რომ თავადები შერვაშიძე, ბასარია და სხვები, რომლებსაც საკუთარი მამულების დათმობა ქართული სოციალ-დემოკრატიული სისტემის ქვეშ არ სურდათ, ოსმალებს ეძახდნენ დასახმარებლად. 27 ივნისს ოსმალებმა აფხაზეთის სანაპიროზე, ცხურგილთან, გადმოსხეს 800 კაციანი დესანტი, წარმოშობით აფსუა პოლკოვნიკ ჯამალბეკ მარშანის მეთაურობით (Andersen 2014, 36).[9] საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენა თბილისში ახალჩამოსული გერმანული მისიის მეთაური – გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი და დახმარება სთხოვა. გენერალმა კრესმა ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენლებთან – ბარონ ფრანკენშტაინთან და გენერალ სტანციოვთან ერთად საპროტესტო ნოტა გაუგზავნა თურქეთის კავკასიური არმიის მეთაურობას ბათუმში თხოვნით, რომ ჯარები სოხუმის მიდამოებიდან გაეყვანათ.[10] გერმანული პასუხი თურქების ამ მანევრზე იყო ჯარების სასწრაფოდ გაგზავნა აფხაზეთში. უკვე მეორე დღეს, პირველი ბავარიული ეგერთა ბატალიონის დანაყოფი უფროს ლეიტენანტ ლუტცის მეთაურობით ფოთიდან შავი ზღვის გზით გაიგზავნა სოხუმში, სადაც 30 ივნისს გადავიდა ხმელეთზე.[11] გერმანული ჯარი სოხუმში ქართველებმა საზეიმო ვითარებაში მიიღეს და გადაწყდა მათი ადგილზე დატოვება, რათა ხელი შეეწყოთ ქართული ძალების გამოთავისუფლებისთვის სხვა ოპერაციების საწარმოებლად. ლუტცის დანაყოფი სოხუმში დაბინავდა ყოფილი 203-ე რუსული ქვეითი პოლკის ოფიცრების შენობაში. აფხაზეთში ყოფნის პირველივე დღეებში გერმანელებმა განაიარაღეს დაახლოებით 100 კაზაკი, რომლებიც სხვადასხვა დროს კავკასიონის მთებზე გადმოსულიყვნენ.[12]

ბერლინში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი პროტესტს აცხადებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნისადმი შედგენილ ოფიციალურ ნოტაში თურქების აფხაზური ექსპედიციის შესახებ და საკითხში გერმანიის ჩარევას მოითხოვდა.[13] გენერალი ოტო ფონ ლოსოვი მხარს უჭერდა ჩხენკელის მოთხოვნებს. სამხრეთით ბათუმის და ჩრდილოეთით სოხუმის დაკავებაში პროქართულად განწყობილი გავლენიანი ბავარიელი გენერალი ხედავდა ოსმალების სურვილს, ალყაში მოექცია მთელი საქართველო. ლოსოვი

9 ანდერსენი კადიშევზე დაყრდნობით ასახელებს 1000 კაცს. თუმცა, არსებობს ჩხენკელის წერილი კიულმანისადმი, სადაც ის 800 მედესანტის შესახებ საუბრობს. იხ. PA AA, R7310. Band 3. Tschchenkeli an Kühlmann. 6.7.1918.

10 HHStA, PA X 156 Russland XI k 2. Kress, Franckenstein und Stancioff. 28.6.1918.

11 Hans Muggenthaler; Hugo Ritter v. Pflügel; Martin Scheuring (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr.1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen Kriegstagebüchern. München 1935 = Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv.Bayerische Armee. Band 85., 419.

12 იქვე, 478.

13 PA AA, R7310. Band 3. Tschchenkeli an Kühlmann. 6.7.1918.

მხარს უჭერდა შავი ზღვის რამდენიმე რუსული გემის გერმანული დროშის ქვეშ გამოყენებას, რომ გერმანიას თურქებისთვის ძალა ეჩვენებინა ზღვაზე.[14]

ბათუმში გერმანელი და თურქი წარმომადგენლების მოლაპარაკებების დროს გენერალმა ვეჰიბ ფაშამ გენერალ კრესის წინაშე თქვა, რომ ბრძანება აფხაზეთში ჯარების გაგზავნის შესახებ მან ენვერ ფაშასთან შეთანხმების გარეშე გასცა, რათა დაეცვა აფხაზი მემამულეები ბოლშევიკებისგან.[15] რეალურად კი, ბუნებრივია, ოსმალები, ამ მანევრით, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან ადგილზე მდგომარეობას თბილისი აკონტროლებდა. ვეჰიბმა უარი თქვა ესაუბრა იმაზე, თუ რა სამომავლო მიზნები ჰქონდათ თურქებს საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ოპერაციით. გენერალი კრესი ბერლინში გაგზავნილ მოხსენებაში აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზეც საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის დემოკრატიული ძალები დასაყრდენს საქართველოში ხედავდნენ, ხოლო უფრო სუსტი არისტოკრატია ჩრდილო კავკასიისადმი ავლენდა სიმპათიებს, რაც ავტომატურად ოსმალეთს გულისხმობდა.[16]

პოლკოვნიკ მარშანის ექსპედიცია წარუმატებელი გამოდგა. სოხუმის დაკავების მცდელობა ქართულ ჯართან შეტაკების შემდეგ ჩაიშალა. მათ ნაწილს უკან ზღვაში მოუხდა შებრუნება, ხოლო ნაწილმა მოახერხა აფხაზეთში დარჩენა და მოგვიანებით, ივლისში, როდესაც მარშანმა ახალი გადმოსხდომები განახორციელა, ამ რაზმებმა პარტიზანული ომის წარმოება სცადეს (Andersen 2014, 37).

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ექსპედიცია აფხაზეთში წინ მიიწევდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ქართველები ყუბანის კაზაკებთან თანამშრომლობდნენ. ავსტრიული წყაროების ინფორმაციით, ივლისის დასაწყისში 700 კაზაკი შეუერთდა მათ აფხაზეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.[17] მაზნიაშვილი ასახელებს 500 კაზაკს. ეს იყო ბოლშევიკებისგან გამოქცეული უიარაღო ხალხი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შეაიარაღა და სოხუმსა და ოჩამჩირეში გაანაწილა (მაზნიაშვილი 1927, 66-67). აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე საქართველომ შეტევა კიდევ უფრო დასავლეთით გააგრძელა და აფხაზეთის საზღვრები გადალახა.[18] 3 ივლისს ქართველებმა და მოკავშირეებმა დაიკავეს დასახლება ადლერი, ხოლო 6 ივლისს გაანადგურეს სოჭის დამცველი ბოლშევიკური ჯარი და აიღეს ქალაქი სოჭი. სოჭი იმ დროს პატარა ქალაქი იყო, დაახლოებით 6 000 მოსახლით, სადაც ყველაზე მეტი, პროცენტულად, ქართველები და რუსები იყვნენ. ქალაქის პოლიტიკურმა და ეთნიკურმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ მაზნიაშვილის ჯარს ბევრი მოხალისე შეუერთდა სოჭიდანაც, რათა მონაწილეობა მიეღო ტუაფსეზე დაგეგმილ შეტევაში. ტუაფსე 27 ივლისს დაიკავა ქართულმა ჯარმა.[19] გენერალი კრესი იმავე დღით ატყობინებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გემ „კორკოვადოდან“ გაგზავნილი დეპეშით: „ქართველებ-

14 PA AA, R11051. Band 19. Lossow an OHL. 6.7.1918.

15 PA AA, R11051. Band 19. Kress an Hertling. 30.6.1918.

16 იქვე

17 HHStA, PA X 156 Russland XI k 2. 3.7.1918. ფურც. 7932

18 აფხაზეთის სახალხო საბჭომ ვარლამ შერვაშიძის თავმჯდომარეობით 1918 წლის 24 ივნისს გააკეთა ასეთი მიმართვა საქართველოს რესპუბლიკისადმი. იხ. ჩაჩხიანი 2014, 127

19 სოჭისა და ტუაფსეს დაკავების შესახებ იხ. ჩაჩხიანი 2014, 143-155.

მა 27 რიცხვში ბოლშევიკები საბოლოოდ დაამარცხეს და ტუაფსე დაიკავეს."[20] აგვისტოს ბოლომდე ეს ტერიტორიები, რომლებიც აფხაზეთის საზღვრებს გარეთ იყო და რუსეთის შავი ზღვის გუბერნიას მიეკუთვნებოდა, საქართველოს რესპუბლიკის კონტროლს ექვემდებარებოდა.

თურქების გადმოსხდომები აფხაზეთის სანაპიროზე ივლისშიც გაგრძელდა. თვის შუა რიცხვებში გენერალი კრესი ატყობინებდა გერმანიის კანცლერ ჰერტლინგს, რომ თურქულ ფორმაში გამოწყობილი 200 ჯარისკაცი აფხაზეთის სანაპიროზე გადმოსხდა, დამატებით 200-ის გადმოსხდომა კი ზღვის ღელვის და არასათანადო ამინდის გამო უბრალოდ ვერ მოხერხდა. კრესის ინფორმაციით, გადმომსხდარ თურქებს თავად აფხაზები დაესხნენ თავს და უკუაგდეს. ამასობაში, თურქეთის გენერალური შტაბის ოპერაციების განყოფილების შეფმა – პოლკოვნიკმა ფელდმანმა, დაუდასტურა ინფორმაცია გენერალ კრესს, რომ კავკასიის თურქული ჯარების მეთაური – გენერალი ვეჰიბ ფაშა, ენვერთან შეთანხმების გარეშე იძლეოდა ბრძანებებს აფხაზეთში ექსპედიციების შესახებ.[21] თუმცა, სავარაუდოა, რომ ენვერს ზეპირი ბრძანება ჰქონდა გაცემული, რადგან ერთი მხრივ არ სურდა გერმანელებთან დაპირისპირება, მეორე მხრივ, როგორც თურანიზმის მთავარ იდეოლოგს, სურდა მთელი კავკასიის დაპყრობა. კონსტანტინოპოლიდან ბრძანების გარეშე მსგავსი მნიშვნელობის მანევრები, როგორც წესი, არ ხდებოდა.

24 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ გერმანულ დელეგაციას კიდევ ერთი ინფორმაცია მიაწოდა – თურქები ბათუმიდან სოხუმში ახალი გადასხდომისთვის ემზადებოდნენ. გარდა ამისა, ქართულ ჯარს შეტაკებები ჰქონდა ბოლშევიკებთან სოჭში და წარმოიქმნა სოხუმში ლუტცის ბატალიონის გაძლიერების საჭიროება. 27 ივლისს ლუტცის ბატალიონის მხარდასაჭერად სოხუმში გაიგზავნა სპეციალური დანაყოფი ლეიტენანტ ლაიხტის მეთაურობით, რომელშიც შედიოდა 3 ოფიცერი, 1 ექიმი, 133 ჯარისკაცი, 14 სატრანსპორტო საშუალება, 37 ცხენი და ტყვიამფრქვევები.[22] ლაიხტის დანაყოფი 28-29 ივლისის ღამეს შევიდა სოხუმში, სადაც დახვედრა მოუწყო უფროსმა ლეიტენანტმა ლუტცმა. ახალი დანაყოფის დიდი ნაწილი დარჩა სოხუმში, მხოლოდ 20 ჯარისკაცი გადაიგზავნა ოჩამჩირეში იქაური გერმანული ნაწილის დასახმარებლად.[23] მაშინ როდესაც ქართული ჯარი, სოხუმისგან შორს, ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა, ადგილზე წესრიგის დაცვა გერმანული ქვედანაყოფების მიერ ხდებოდა. ლაიხტის დანაყოფმა გადაიბარა ფაქტობრივად ყველა დასაცავი პუნქტის მეთვალყურეობა სოხუმში და ღამის პატრულირება. გარდა ამისა, გერმანული მოტორიანი ნავი, 6 კაციანი ეკიპაჟით და ერთი ტყვიამფრქვევით, ახდენდა სოხუმიდან ოჩამჩირემდე სანაპირო ხაზის ზედამხედველობას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული თურქების შესაძლო გადმოსხდომა სანაპიროზე.[24]

ოსმალეთის კავკასიური არმიის მეთაურად ვეჰიბ ფაშას მოხსნის და ესად ფაშას დანიშვნის შემდეგ, გენერალმა კრესმა სცადა მასთან ვითარების დარეგულირება. როგორც თავად კრესი, ასევე საქართველოს ხელისუფლება, ესადისგან მოელოდა უკვე კარგად

20 BArch/MA, RM 40/329. გვ. 9

21 PA AA, R11051. Band 19. Kress an Hertling. 13.7.1918

22 Hans Muggenthaler; Hugo Ritter v. Pflügel; Martin Scheuring (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon. Nr.1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15) გვ. 480.

23 იქვე.

24 იქვე, 481.

ნაცნობ პასუხს, რომ აფხაზეთში თურქი მოხალისეები მიდიოდნენ, მაგრამ ესადის პოზიციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თურქებს ოცნება კავკასიის მთლიანად დაკავების შესახებ ჯერ კიდევ ჰქონდათ და მათი ძველი გამონათქვამები ტყუილი იყო. პრობლემის სათავე კი არა ვეჰიბ ფაშა, არამედ ომის მინისტრი ენვერ ფაშა იყო. ესად ფაშა აცხადებდა, რომ აფხაზეთი მთიელთა კავშირს მიეკუთვნებოდა და რომ ადგილობრივი მემამულეები თურქებს დახმარებისკენ მოუწოდებდნენ.[25] ის პირველ რიგში გულისხმობდა თავად ალექსანდრე შერვაშიძეს, ვინც თურქების მთავარი მოკავშირე იყო აფხაზეთში. შერვაშიძეს, როგორც მიწათმფლობელს, ჰქონდა მამულების დაკარგვის შიში ქართული სოციალ-დემოკრატიის აფხაზეთში გამარჯვების შემთხვევაში. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ მასთან ურთიერთობაში ქართველებიც არ იქცეოდნენ ყოველთვის კორექტულად. მაგალითად, 9 მაისს, შერვაშიძე ოჩამჩირეში შეხვდა სახალხო გვარდიის მეთაურ ვალიკო ჯუღელს და ბოლშევიკებთან ბრძოლაში 300 კაცით დახმარება შესთავაზა. ჯუღელმა ამაზე შეურაცხმყოფლად უპასუხა, რომ მას საკმარისი ძალები ჰყავდა და შერვაშიძის დახმარება არ სჭირდებოდა. პირად დღიურებში ჯუღელი აფხაზ მემამულეებს ალექსანდრე შერვაშიძეს, ტატაშ და დიმიტრი მარშანიებს „ბანდიტების მცველებად“ და „რეაქციონერებად“ მოიხსენიებს (Джугели 1920, 11), რაც რეალობისგან შორს არ იყო, მაგრამ ასეთმა მიდგომამ ურთიერთობის გაფუჭება გამოიწვია. ამ შეხვედრის შემდეგ ალექსანდრე შერვაშიძე დაადგა ღიად პროთურქულ და საქართველოს ხელისუფლებისადმი მტრულ კურსს. ის გადასახლდა აფხაზეთიდან ბათუმში, რომელიც მაშინ ოსმალების ხელში იყო და იქიდან უწყობდა ხელს პროთურქულ პროცესებს აფხაზეთში (მაზნიაშვილი 1927, 70).

თავადების პოზიციის მიუხედავად, თურქების გადმოსხდომები აფხაზეთში მართლსაწინააღმდეგო ქმედება იყო, რადგან აფხაზეთში სიტყვა ეთქმოდა სახალხო საბჭოს, რომელმაც 11 ივნისს თბილისში საქართველოს ხელისუფლებასთან გააფორმა ხელშეკრულება, მიანდო საგარეო პოლიტიკის წარმოება და სთხოვა საკუთარი ტერიტორიის დასაცავად ჯარების გაგზავნა. გენერალი კრესი საერთოდ მიიჩნევდა, რომ ეს ქართულ-აფხაზური ხელშეკრულება რომც არ ყოფილიყო, თურქებს მაინც უნდა ეღიარებინათ ქართველების უფლებები აფხაზეთში, რადგან ოსმალეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ბათუმის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ ქვეყნებს შორის ოფიციალური ურთიერთობები არსებობდა და აფხაზეთში ქართული ჯარები თურქებზე ადრე იყო შესული.[26] კრესის მოხსენებიდან ასევე ირკვევა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს თხოვნით, ქართველებმა დაახლოებით 150 თურქი განაიარაღეს და ტყვედ აიყვანეს.[27]

აგვისტოში დამატებით 600 კაციანი თურქული ძალების აფხაზეთში გადასხდომის შემდეგ, გენერალი კრესი პირადად იმყოფებოდა სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის მიდამოებში, სადაც ოსმალები გადმოსხდნენ და იქიდან გასცა ბრძანება ახალი გერმანული ნაწილების აფხაზეთში გაგზავნის შესახებ (Muggenthaler, Pflügel and Scheuring 1935, 497). ახალი გერმანული ნაწილები მე-9 ეგერთა ბატალიონს მიეკუთვნებოდნენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი გერმანული ძალები დაუქვემდებარეს ამავე ბატალიონის მეთაურს – კაპიტან შნაიდერს, ვისაც „სანაპიროს მეთაური“ ეწოდა ოფიციალურად. 1-ელი ეგერთა ბატალიონის ძალები რჩებოდნენ სოხუმსა და ოჩამჩირეში (Aschauer 1931, 316). გაგრაში მოქმედებდა

25 PA AA, R11059. Band 25. Kress an Hertling. 9.9.1918.

26 PA AA, R11059. Band 25. Kress an Hertling. 9.9.1918.

27 იქვე

მე-9 ეგერთა ბატალიონის მე-4 ასეული (Karitzky 1925, 141). ცალკეული დანაყოფები განლაგდნენ გუდაუთასა და ადლერში (Aschauer 1931, 330). სანაპიროს მეთაურის შტაბ-ბინა მდებარეობდა სოხუმში. თურქების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული არმიის დასახმარებლად, ოჩამჩირიდან დაახლოებით 25 კილომეტრში, მორალური მხარდაჭერისთვის გაიგზავნა ერთი ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ასეული (იქვე, 317). 15 აგვისტოს მე-9 ეგერთა ბატალიონის დამატებითი ძალები გაიგზავნა სოხუმში. მათ აფხაზეთის ტერიტორიაზე განაწილებაში გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იღებდა მონაწილეობას (Karitzky 1925, 142). ბოლშევიკების მიერ სექტემბრის დასაწყისში ტუაფსეზე მიტანილი იერიშის შემდეგ, გერმანული სამხედრო ძალები აფხაზეთში კიდევ გაიზარდა. გაგრაში მოქმედებდა ლეიტენანტი ზომერი, ადლერში – ლეიტენანტი ტრაბანტი. მე-3 ასეული ფოთიდან გადაისროლეს ასევე გაგრაში. მე-4 ასეული ლეიტენანტ კარლსენის მეთაურობით, 40 კაციანი შემადგენლობით, იცავდა ადლერს (იქვე, 143). ლუტცისა და ლაიხტის დანაყოფები 13 ოქტომბერს დაბრუნდნენ თბილისში, მანამდე იცავდნენ სოხუმს Muggenthaler, Pflügel and Scheuring 1935, 510). ოქტომბერში გერმანელების განლაგება აფხაზეთში ასეთი იყო: ლეიტენანტ ტრაბანტის მე-3 ასეული გაგრაში, ჰანსენის დანაყოფი გუდაუთაში, მე-4 ასეულის ერთი ნაწილი სოხუმში, მეორე ნაწილი რეზერვის ლეიტენანტ კარლსენის მეთაურობით, ოჩამჩირეში (Karitzky 1925, 144).

სექტემბრის დასაწყისში, როდესაც გერმანიის გენერალური შტაბი ბაქოზე იერიშის მიტანას გეგმავდა, ლუდენდორფმა კავკასიაში მოავლინა მე-7 ბავარიული კავალერიის ბრიგადა. მისი ფოთში გადმოსხდომა სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო და შუაში დამთავრდა. ბრიგადაში შემავალი დანაყოფები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადანაწილდა, რადგან ბაქოს აღება გერმანელებს თურქებმა დაასწრეს 15 სექტემბერს. მე-7 კავალერიის ბრიგადის მე-5 პოლკის – „ერცჰერცოგ ფრიდრიხ ავსტრიელის“ ერთი ნახევარი – შტაბი და ორი ესკადრონი, დაახლოებით 300-350 ჯარისკაცი, ზუგდიდის გავლით ოჩამჩირეში მიავლინეს. ამ დანაყოფს უნდა გაეკონტროლებინა 250 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი ტუაფსემდე და დაეკავებინა ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი ამ მხარეში – სოხუმი, გაგრა, ადლერი და სხვები. მის შტაბს კი უნდა გადაებარებინა „შავი ზღვის სანაპიროს მეთაურის“ პოსტი,[28] თუმცა ბულგარეთის ფრონტის დაცემამ ევროპაში გერმანელების გეგმები თავდაყირა დააყენა და სექტემბერშივე გაიცა ბრძანება მთელი მე-7 ბრიგადის საქართველოდან უკან გაწვევის შესახებ.

საქართველოს გაფართოება აფხაზეთის საზღვრებს მიღმა, ქალაქ ტუაფსემდე, სადაც კავკასიონის ქედი სრულდება, გერმანიაში მიიღეს როგორც პოზიტიური ნიშანი სამხრეთ კავკასიის მძიმე ეკონომიკური ვითარების გასაუმჯობესებლად. კრესის შეტყობინების თანახმად, მან გაგზავნა გერმანული დელეგაციის წევრი, დოქტორი პფაფი ტუაფსეში მისიით, რომ ნავთობპროდუქტების მარაგი და გადასაზიდი საშუალებები შეესწავლა ტუაფსესა და მაიკოპში.[29] ქალაქი მაიკოპი, რომელიც ტუაფსედან კიდევ უფრო დასავლეთით მდებარეობს, გენერალ მაზნიაშვილის მორიგი სამიზნე იყო. კრესის ინფორმაციით, გენერალი მაზნიაშვილი იარაღით და აღჭურვილობით მხარს უჭერდა მაიკოპის მიდამოების

28 Das K.B. 5. Chevaulegers-Regiment „Erzherzog Friedrich von Österreich“ im Kriege 1914/1918 (München, 1922). pp. 62-64.

29 PA AA, R11058. Band 24a. Kress an Hertling. 16.8.1918.

კაზაკებს, რომლებსაც ქალაქის დაკავება სურდათ. ამის სანაცვლოდ, კაზაკები ქართველებს ჰპირდებოდნენ მარცვლეულით და საწვავით დახმარებას.[30]

ტუაფსესა და სოჭის დაკავებას საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მარცვლეულით მდიდარ ყუბანის ოლქთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად. ბერლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკთან საუბარში ისეთი ფორმით ლაპარაკობდა სოჭისა და ტუაფსეს მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, რომ ვეზენდონკმა დასკვნა გააკეთა, ქართველები რაიმე ფორმით, შავი ზღვის გუბერნიის საქართველოსთვის მიერთებას აპირებდნენ ტუაფსემდე. ვეზენდონკის კითხვაზე, რომელიც კავკასიის ექსპერტი იყო, განა ეს ტერიტორიები ძველი ჩერქეზული მიწები არ იყო, ჩხენკელმა უპასუხა, რომ მთელს შავი ზღვის გუბერნიაში ჩერქეზები აღარსად ცხოვრობდნენ და მათი დაბრუნება ოსმალეთიდან არადამაჯერებელი ჩანდა. მართალია, ეს მიწები არ იყო ქართული, მაგრამ უნდა მიკუთვნებოდა სამხრეთ კავკასიას.[31] გერმანელი ვიცეადმირალი ალბერტ ჰოპმანი, რომელიც შავ ზღვაზე ნაოსნობის მარეგულირებელი მმართველი ორგანოს – ნატეკოს[32] უფროსი იყო, საერთოდ თვლიდა, რომ ქართველებს განზრახული ჰქონდათ ნოვოროსიისკის დაკავება. ის არ ემხრობოდა ამ საპორტო ქალაქის საქართველოსთვის გადაცემას, რადგან თვლიდა, რომ ნოვოროსიისკი ყუბანის რესპუბლიკას უფრო სჭირდებოდა, რომელსაც წესიერი პორტი არ ჰქონდა, განსხვავებით ქართველებისგან, რომლებიც აკონტროლებდნენ ფოთს და ტუაფსეს (Baumgart 1971, 562).

რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, იმისთვის რომ აფხაზეთში არეულობა სამხედრო გზით შეეტანა, ოსმალეთმა მთიელთა რესპუბლიკაზე დაყრდნობით სცადა აფხაზეთზე ოფიციალური პრეტენზიების წამოყენება. 12 სექტემბერს მთიელების წარმომადგენელმა ჰაიდარ ბამატმა წერილი მისწერა გერმანიის ელჩს კონსტანტინოპოლში – გრაფ ვალდბურგს. ბამატი წერილში საუბრობდა ქართველების მიერ აფხაზების წინააღმდეგ ჩადენილ მრავალრიცხოვან დანაშაულებზე და მოითხოვდა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიაზე მიერთებას. ბამატის ცნობით, ქართველებმა გაანადგურეს აფხაზეთის მთიელებთან მიერთების ბევრი მხარდამჭერი, თუმცა კონკრეტულ ფაქტებს ის არ ასახელებს. ბამატი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აფხაზეთში ქართველების გვერდით გერმანული ჯარები მოქმედებდნენ. მათ მხარდაჭერას ქართველებისადმი ბამატი უწოდებდა კავკასიაში ადგილობრივი გერმანული მეთაურობის შეცდომას.[33] ავტორმა წერილს თან დაურთო აფხაზი მემამულეების მიმართვები, რომლებიც მისგან დახმარებას ითხოვდნენ. ამ ფრანგულად შედგენილ წერილებში ჩნდება იგივე ანტისოციალისტი და პროთურქულად განწყობილი მემამულეების სახელები – ალექსანდრე შერვაშიძე, სიმონ ბასარია და ტატაშ მარშანია, რომლებსაც აფხაზეთში ყველა გზით სურდათ სოციალისტური ხელისუფლების თავიდან აცილება. ამ აფხაზი მემამულეების პოზიცია განპირობებული იყო საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნებით და არა მყარი საგარეო ორიენტაციით ან პოლიტიკური მისწრაფებებით. აქედან გამომდინარე, ისინი იყვნენ ბერკეტი თურქული ხელისუფლების ხელში კავკასიაში საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად. ჰაიდარ ბამა-

30 იქვე.

31 PA AA, R7310. Band 3. Wesendonk an AA. 9.8.1918.

32 გერმანულიდან Nautisch Technische Kommission (Nateko) – სანაოსნო ტექნიკური კომისია.

33 PA AA, R11059. Band 25. Bammat an AA. 15.9.1918.

ტი კონსტანტინოპოლში პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა ოსმალეთის ლიდერებთან და ინსტრუქციებს ხშირად თალაათ ფაშასგან იღებდა. ამასთან დაკავშირებით ის საუბრობს მთიელთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ტაპა ჩერმოევისთვის გაგზავნილ წერილში, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ოსმალეთში გერმანიის ელჩთან შეხვედრის შემდეგ, დარჩა შთაბეჭდილება, რომ გერმანელებს მისი ბერლინში ჩასვლა არ სურდათ (Гожба 2009, 129-130). ბამატი აქტიურად თანამშრომლობდა კონსტანტინოპოლში მყოფი ჩერქეზული კლუბის წევრებთან ანტიქართული პროპაგანდის საწარმოებლად თურქულ პრესაში, თუმცა რაიმე ხელშესახები შედეგი გერმანიის პროქართული პოლიტიკის ცვლილებისთვის მისმა საქმიანობამ არ მოიტანა.

გერმანია კავკასიური მისიის ამოწურვამდე საქართველოს რესპუბლიკას უჭერდა მხარს აფხაზეთში. გერმანული და ავსტრიული მისიის ხელმძღვანელები პირდაპირ ურჩევდნენ ბერლინს, რომ კავკასიის საკითხების დასარეგულირებლად დაგეგმილი კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე ყველა სადავო ტერიტორიულ საკითხში საქართველოს მხარე დაეჭირა. აღნიშნული ინსტრუქციის მეოთხე პუნქტში, პირდაპირ დასახელებულია, რომ მაგალითად, სოხუმში, ზაქათალაში და ბორჩალოში გერმანიას საქართველოს მხარე უნდა დაეჭირა.[34] ბერლინში ფიქრობდნენ, რომ შეტაკებები აფხაზეთში, პირველ რიგში, თურქული ქვედანაყოფების აფხაზეთის სანაპიროზე მოულოდნელი დესანტირებით იყო გამოწვეული. ჰაიდარ ბამატის ცნობები გადაჭარბებული იყო, თუმცა პირველი სირთულეები ქართველებსა და აფხაზებს შორის ნამდვილად 1918 წელს წარმოიქმნა. მთავარი ქართულ-აფხაზური პრობლემის შესახებ საუბრობს გენერალი კრესი 16 აგვისტოს კანცლერ გეორგ ჰერტლინგისადმი მიწერილ მოხსენებაში. კონფლიქტს თბილისსა და სოხუმს შორის ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა. საქმე ეხებოდა თამბაქოს გაყიდვას. აფხაზებს ჰქონდათ თამბაქოს დიდი მარაგი საწყობებში და არსებული ფულადი გაჭირვებიდან გამომდინარე უნდოდათ მისი სწრაფად გაყიდვა. გერმანიის ეკონომიკურ განყოფილებას არ შეეძლო ჯერჯერობით მისი შეძენა შესაბამისი წარმომადგენლის კავკასიაში არყოფნისა და ფულის სიმცირის გამო. აფხაზებმა ოსმალეთისგან მიიღეს შეთავაზება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას, მისი გერმანიასთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, არ უნდოდა აფხაზებისთვის ნებართვა მიეცა თურქებთან ვაჭრობაზე.[35] აქ, ცხადია, დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკური ფაქტორიც. თურქებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ძალიან ძვირი დაუფასეს, ჩამოაჭრეს რა მთელი ბათუმის ოლქი და ახალციხე-ახალქალაქის მაზრები. მათ ასევე დაიკავეს ორი ქრისტიანული სოფელი ოზურგეთის მაზრაში და უარს ამბობდნენ ბათუმის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწების – აბასთუმნისა და აწყურის საქართველოსთვის გადაცემაზე, სადაც საზღვარი უნდა გასულიყო. შესაბამისად, ჟორდანიას ხელისუფლებას უნდოდა მაქსიმალურად ბევრი პრობლემა შეექმნა თურქებისთვის საქართველოში. ეკონომიკური დაბრკოლებების გარდა, საქართველო არ უშვებდა თურქულ ტრანსპორტს საკუთარი რკინიგზით აღმოსავლეთისკენ, რითაც ხელს უშლიდა ოსმალებს ბაქოს აღებაში.

ბერლინში ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკთან გამართული მორიგი საუბრისას, ჩხენკელი შეეხო ბამატის მოთხოვნებს აფხაზეთთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მხოლოდ პროთურქები – ბასარია, შერვაშიძე და სხვები იყვნენ აფხაზეთში საქართველოს

34 PA AA, R11051. Band 19. Bernstorff an AA. 8.7.1918.

35 PA AA, R11058. Band 24a. Kress an Hertling. 16.8.1918.

წინააღმდეგ განწყობილი. თავად აფხაზეთი კი საქართველოსთან გაერთიანების მომხრე იყო. საქართველო არ იქნებოდა წინააღმდეგი, რომ ჩერქეზები უკან დაბრუნებულიყვნენ შავი ზღვის გუბერნიაში თურქეთიდან, თუ მათ როგორც ჩერქეზებს ენდომებოდათ ცხოვრება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანი იყო, თურქებს არ მისცემოდათ აფხაზეთში ან ჩერქეზების მიწაზე დიდი ხნით ფეხის მოკიდების საშუალება. ბამატის მოთხოვნებს ჩხენკელი სასაცილოს უწოდებდა ორი მიზეზით: პირველი, აფხაზეთი არასოდეს ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანებული არ ყოფილა და მეორე, ბამატს საერთოდ არ ჰქონდა მთიელების სახელით ლაპარაკის უფლება, რადგან მას სამშობლოში გავლენა დაკარგული ჰქონდა.[36]

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩხენკელის განცხადება, რომ მთელი აფხაზეთი საქართველოსთან შეერთების მომხრე იყო, ისეთივე გადაჭარბება იყო, როგორც ბამატის წერილი ქართველების მიერ აფხაზების დევნის შესახებ. აფხაზეთი ეთნიკურად ჭრელი იყო და მდგომარეობაც, შესაბამისად, ძალიან ქაოსური. არსებობდა ბევრი სხვადასხვა ორიენტაციის დაჯგუფება, რომელთა მიზნები სულაც არ იყო ყოველთვის აფხაზური ნაციონალიზმიდან ამოსული, როგორც ეს შემდგომში, საბჭოთა პერიოდში გაფორმდა. დაპირისპირების ძირითადი მიზეზები 1918 წელს, როგორც ვნახეთ, სოციალური იყო. ამ სიჭრელის მიუხედავად, ფაქტია, რომ აფხაზეთის მმართველმა ორგანომ – სახალხო საბჭომ, ბოლშევიკებისგან თავის დასაცავადხელშეკრულება თბილისთან გააფორმა. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ მწვავე ქართულ-აფხაზური ანტაგონიზმი, რომელიც ომამდე მივიდა, სათავეს საბჭოთა კავშირის დროს იღებს.

რაც შეეხება გერმანიის როლს, მისი მთავარი მისია იყო მფარველობის ქვეშ მყოფი საქართველოს რესპუბლიკის მხარდაჭერა და აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაცია. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მისიის ამოწურვამდე, გერმანულ წარმომადგენლობას ცალსახად პროქართული პოზიცია ჰქონდა. მსოფლიო ომის დასრულებამდე გერმანული ჯარები რჩებოდნენ საკუთარ პოსტებზე აფხაზეთში, თუმცა, პირდაპირ სამხედრო მოქმედებებში მოკავშირე თურქების, ან ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ, ალიანსში მყოფი ბოლშევიკების წინააღმდეგ, არ მონაწილეობდნენ. ამის მიუხედავად, უმნიშვნელოვანესი იყო მათი ყოფნა სხვადასხვა აფხაზურ ქალაქებში მდგომარეობის დაწყნარებისთვის, რამაც დიდწილად განაპირობა კიდეც გენერალ მაზნიაშვილის წარმატებული მსვლელობა არცთუ მრავალრიცხოვანი ძალებით ტუაფსეს მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კი, უდავოდ, იყო 28 მაისს, გემ „მინა ჰორნზე“ გაფორმებული საქართველო-გერმანიის ხელშეკრულება ოტო ფონ ლოსოვსა და აკაკი ჩხენკელს შორის, რომლის ძალითაც აფხაზეთი შევიდა პირველი თანამედროვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ეს საერთაშორისო იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი იყო და აღნიშნულმა ხელშეკრულებამ, 11 ივნისის ქართულ-აფხაზურ ხელშეკრულებასთან ერთად, განაპირობა რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა მუდმივად. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო კავკასიაში გერმანული მისიის მეთაურის, გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის, გერმანიის კონსულ გრაფ შულენბურგის და მისიის სხვა წევრების პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოსადმი თურქებთან წარმოებული მოლაპარაკებების დროს, რამაც წვლილი შეიტანა აფხაზეთში თურქული ექსპანსიის შეჩერებაში.

36 PA AA, R7315. Band 8. Wesendonk an AA. 8.10.1918.

გამოყენებული ლიტერატურა

დიასამიძე, თამაზ. 2004. *აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული.* თბილისი: რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი

მაზნიაშვილი, გიორგი. 1927. *მოგონებანი.* თბილისი: სახელგამი

ფერაძე, გიორგი. 1921. საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული მიმოხილვა). *საქართველოს სტატისტიკური მოამბე,* no. 1: 12-27

ჩაჩხიანი, არჩილ. 2014. *რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები).* თბილისი

Andersen, Andrew. 2014. *Abkhazia and Sochi. The Roots of the Conflict. 1918-1921.*Asteroid Publishing

Aschauer, Philipp. 1931. *Auf Schicksalswegen gen Osten: Kriegserlebnisse eines deutschen Jägerregiments in Rumänien, auf der Krim und im Kaukasu*s. Münster: Münster-Westf., Helios-Verlag

Baumgart, Winfried. 1970. Das „Kaspi-Unternehmen“. Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Osteuropas. Bd. 18, S. 47–126 und 231–278

Baumgart, Winfried (Hrsg.). 1971. Von Brest-Litovsk zur deutschen Novemberrevolution. Aus den Tagebüchern, Briefen und Aufzeichnungen von Alfons Paquet, Wilhelm Groener und Albert Hopman. März bis November 1918. Göttingen

Karitzky, Erich (Hrsg.)1925. *Reserve-Jäger Bataillon Nr. 9. Aufgestellt vom Lauenburgischen Jäger-Bataillon Nr. 9. Bearbeitet nach den amtlichen Kriegstagebüchern. Berlin.* Oldenburg i.O. Berlin

Muggenthaler, Hans, Pflügel, Hugo Ritter v. und Scheuring, Martin (Hrsg.) 1935. *Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr. 1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen Kriegstagebüchern.* München: Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv. Bayerische Armee. Band 85

Бакрадзе, Лаша. “Абхазия 1918 года в документах германского МИДа.” Аспекты Грузино-Абхазского Конфликта 5. *Материалы грузино-абхазской конференции: преемственность культур в контексте государственного строительства.* 26-28 Августа, 2000, 336-342

Гожба, Руслан (сост.) 2009. *Абхазия – Документы и Материалы (1917-1921).* Сухум: Издание профинансировано Фондом Первого Президента Республики Абхазия, академика В.Г. Ардзинба.

Джугели, Валико. 1920. Тяжёлий Крест. Тифлис: Арабидзе и Ко

წყაროები

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, თბილისი: 1831/2/49, 1836/1/9.

Politisches Archiv des AA, Berlin: R7315, R11049, R11051, R11058, R11059, R22340.

Bundesarchiv-Militärarchiv, Freiburg im Breisgau: RM 40/329.

Haus-, Hof- und Staatsarchiv, Wien: PA X 156 Russland XI k 2.